შუახევის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-937
12/12/2018

937-07-4-201812121538

პირის შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს №5141-IIს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის №139 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას პირის შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1 რუსუდან შავაძე – შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

1.2 მირიან აბაშიძე – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.3 პაატა დავითაძე – შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

1.4 ზაზა დავითაძე – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

1.5 ჯიმშერ აბაშიძე – შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პირის შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 ივლისის №06-317 ბრძანება.

3. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის №139

ბრძანებით დამტკიცებული დებულებითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფუტკარაძე ფრიდონ

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა